



**სტუდენტური
სოციოლოგიური
გამოკითხვის
შედეგად...**

გვ. 6

**ექსპერიმენტული ეკონომიკის
დარგის განვითარების
პერსპექტივები**

გვ. 2

**ფილოსოფია — სამყაროში
ადამიანის ყოფნის
სტრატეგია**

გვ. 2

**საქართველოს ფინანსისტთა
მრავალი თაობის
აღმზრდელი**

გვ. 7



**„ჩემთვის უნივერსიტეტი
არასდროს ყოფილა
სამსახური, ის იყო
სახლი“**


გვ. 4



**პროფესორ თაბაზ
ვახაშვილის სამეცნიერო-
კვლევითი
მოღვაწეობის შესახებ**

გვ. 5

**კამბრიჯის უნივერსიტეტიდან
გამოყოფილი სიტგო**



კამბრიჯის უნივერსიტეტში მოხვედრა, ალბათ, ყველა სტუდენტის ოცნებაა, მაგრამ თუ იმ მოვლადი და სერიოზულ ჯილდოსაც მიიღებ, ეს უკვე სერიოზული წარმატებაა. თსუ-ის ჯუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გამომყვანებითი ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტმა ცოტნე ჩიტაიშვილმა ეს შეძლო — მან კამბრიჯის საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარმოდგენილი საუკეთესო პოსტარისა და პრეზენტაციისთვის პირველი პრიზი დაიმსახურა.

გვ. 3



**მზრუნველობით მიღწეული
ცხოვრება ტვივილის გარეშე**

გვ. 3

ნომერები



**„აუცილებელია,
ვინაიტიურთ და
არ დავკარგოთ
ჩვენი
ახალგაზრდები“**

გვ. 5



**გაცვლით
პროგრამებში
მონაწილეობისთვის
სტუდენტთა
შესარჩავი
კონკურსი
დაიწყო**

გვ. 6

ექსპერიმენტული ეკონომიკის დარგის განვითარების პერსპექტივები



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვევით 5-დან 10 ნოემბრამდე თბილისში იმყოფებოდა ნოტიანგემის უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერიმენტული ეკონომიკისა და გადაწყვეტილებათა კვლევის ცენტრის დირექტორი კრის სტარმერი. ბრიტანელმა მეცნიერმა გამართა საჯარო ლექციების კურსი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის: „ექსპერიმენტული ეკონომიკა: პრინციპები და გამოყენება“, რამაც სტუდენტთა არნახული ინტერესი გამოიწვია.

ექსპერიმენტული ეკონომიკა არის ეკონომიკური მეცნიერების შედარებით ახალი მიმართულება, რომლის განვითარებაც მე-20 საუკუნის 80-იან წლებიდან დაიწყო. მისი მიზანია ეკონომიკური თეორიების ექსპერიმენტული დასაბუთება და ეკონომიკის საბაზრო მექანიზმების ექსპერიმენტულად დაფუძნებული კვლევა. დარგის ერთერთ პიონერებად ითვლებიან ამერიკელი მეცნიერები ვერნონ სმიტი და დანიელ კაჰნემანი, რომელთა მოღვაწეობა 2002 წელს ნობელის პრემიით აღინიშნა. ასევე, საინტერესო შედეგებს მიაწიეს გერმანელმა მეცნიერებმა

რაინჰარდ ზელტენმა (1994 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი) და რაინჰარდ ტიტცემ.

ექსპერიმენტული ეკონომიკის საშუალებით იკვლევენ სრულყოფილი კონსურსის დროს; განუსაზღვრელობის და რისკის პირობებში მიმწოდებლების და მომხმარებლების ქცევის მოტივებს; ადგენენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინდივიდების ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. თანამედროვე კვლევის ექსპერიმენტები, მათემატიკური მოდელების გამოყენებით, კომპიუტერულ ლაბორატორიებში მიმდინარეობს.

თბილისში ვიზიტის დროს პროფესორი კრის სტარმერი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს ბატონ ალექსანდრე კვიციანიასს, ფაკულტეტის დეკანს აკაკი ხელაძეს, უნივერსიტეტის ეკონომიკის პრინციპების კათედრის აკადემიურ პერსონალს, რომლის ხელმძღვანელია სრული პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი. ბრიტანელ მეცნიერს უშუალო მასპინძლობას უწევდა ასოცირებული პროფესორი მარიონა ნაცვალაძე. დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები და საქართველოში ექსპერიმენტული ეკონომიკის დარგის განვითარების პერსპექტივები.

უკრაინული



ფილოსოფია — სამყაროში ადამიანის ყოფნის სტრატეგია

„ფილოსოფიის დღე“ იუნესკოს დადგენილებით ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში აღინიშნება. როგორც მისი დამაარსებლები განმარტავენ, ამ დღის დანესება უკავშირდება საზოგადოებაში მიმდინარე გლობალური სოციალურ-კულტურული გარდაქმნების საერთო პლატფორმის პოვნას, ადამიანების ზიარებას ფილოსოფიური მეტაფიზიკისა და აზროვნების სფეროს გახსნას ახალი იდეებისთვის და სხვა. ფილოსოფოსებისთვის მნიშვნელოვანი თარიღი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2008 წლიდან ტრადიციულად, ყოველი წლის ნოემბრის მესამე ხუთშაბათს პროფესორთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციით აღინიშნება.

შურთხია ბაროშვილი

19-21 ნოემბერს თსუ-ის პირველ კორპუსში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია — „ფილოსოფია და რელიგია“ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა თსუ-ის, გორის უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 50-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო. კონფერენციის მონაწილეებს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებთა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე მიესალმა.

„სასიამოვნოა, რომ „ფილოსოფიის დღის“ აღნიშვნა უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად იქცა. ამ მიმართულების ხელმძღვანელობის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ ეს ღონისძიებები ემსახურება ფილოსოფიით ახალგაზრდების დაინტერესებას და, როგორც ჩანს, ეს ინტერესი არც თუ ისე ცოტა

ადამიანს გააჩნია. მისასალმებელია, რომ წელს კონფერენციამ მასშტაბური ხასიათი მიიღო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებაში ფილოსოფიით დაინტერესებული სხვა სასწავლებლების სტუდენტობაც ჩაერთო. ამ დარგში დღესაც კვლავ მრავალი კითხვაა და ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მომავალი ფილოსოფოსების პერროგატივაა“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

სტუდენტური კონფერენციის ხელმძღვანელის, პროფესორ დემურ ჯალალონიას ინფორმაციით, წლებიდან კონფერენციაში წარმოდგენილი მოხსენებები მოიცავდა იმ ძირითად ტენდენციებს და ფილოსოფიურ და რელიგიურ აზრთა დისკუსიას, რაც დგას ადამიანის წინაშე სწრაფცვალებად გარემოში. ამით გამოვლენდა სამეცნიერო

მოხსენებებში კვლევის პრობლემატიკის აქტუალობა, პროფილით სამეცნიერო კვლევების განვითარების პერსპექტივა და ინტეგრაციის შესაძლებლობები.

„კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ფილოსოფია, ამ მხრივ, არის სამყაროში ადამიანის ყოფნის სტრატეგია, მოძღვრება სამყაროში ადამიანის ადგილისა და სხვა ადამიანებთან მიმართების, პრინციპებისა და გზების შესახებ. ფილოსოფიის არსებობა უშუალოდ უკავშირდება ადამიანის არსებობის წესს. ეპოქების მიხედვით იცვლებოდა ფილოსოფიური პრობლემატიკა. ანტიკურობაში ფილოსოფიის მთავარი საგანი იყო სამყარო, შუა საუკუნეებში — ღმერთი, ხოლო ახალი დროიდან — ადამიანი, ანუ თანამედროვე ეპოქაში აქტუალურია პიროვნება და მისი თავისუფლება“, — აღნიშნა დემურ ჯალალონიამ.

მისი თქმით, სტუდენტები ცდილობდნენ მოხსენებებში გაეანალიზებინათ — თუ რისი შემეცნება შეუძლია ადამიანის გონებას? რა არის ცოდნის წყარო და კრიტიკერიუმი? რა შემოიქცა ვიცოდე? როგორ განვჭვრიტო, აღვწერო და ავხსნა გარე სამყარო, რომელშიაც ვცხოვრობ? როგორ მივიღო სურათი, რომელშიც გამომჟღავნდება, გამომზურდება უნივერსუმის

საიდუმლოება? რა არის ჭეშმარიტება? — ყოველივე ეს საკითხები ერთიანდებოდა ბუნების, ღმერთის და ადამიანის პრობლემატიკის გარშემო. სტუდენტები ცდილობდნენ ეპასუხათ კითხვებზე ფუნდამენტური მეტაფიზიკური კუთხით.

დემურ ჯალალონიას ინფორმაციით, წარმოდგენილ მოხსენებებში საუბარი იყო იმაზე, ახალ დროში შესაძლებელია თუ არა არსებობდეს მეტაფიზიკა, როგორც მეცნიერება? კონფერენციაზე დაისვა საკითხი: „არის თუ არა მეტაფიზიკა ცრუმეცნიერება, ცრურწმენის ნაირსახეობა, რომელიც ხელს უშლის ადამიანის გონებას განვითარებაში? იქვე იყო პასუხი, რომ ვერავინ შეძლო დაესაბუთებინა, რომ შესაძლებელია არსებობდეს მეტაფიზიკა, როგორც მეცნიერება, თუმცა ვერც მისი უკუგდება მოხერხდა. მეტაფიზიკა დღესაც პირველ ფილოსოფიად მიიჩნევა. როგორც იმანუელ კანტმა თქვა: „მეტაფიზიკა ადამიანის გონების იდეალია“ და „ჩვენში უფრო მეტაფიზიკა ჩადებული, ვიდრე ნებისმიერი სხვა მეცნიერება“. მისი პრობლემატიკა გამომდინარეობს ადამიანური არსებობის წესიდან.

ამდენად ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილების, სხვადასხვა საკითხების მეცნიერულ კვლევა-

მოხსენებებში წარმოჩნდა 3 უმთავრესი მოდული: სამყაროს, ღმერთის და ადამიანის კვლევა. წინა პლანზე წამოიწია სხვადასხვა დეფინიციებმა: ადამიანის, როგორც მეტაფიზიკური არსების; ადამიანის, როგორც შემეცნებელი არსების; ადამიანის, როგორც ღვთის ხატის და მსგავსის; ადამიანის, როგორც მორალური არსების; ადამიანის, როგორც გონითი მოღვაწის კვლევა და ა.შ.“ — აღნიშნა დემურ ჯალალონიამ.

აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ვერ ხერხდება კონფერენციაზე ნაკითხული საინტერესო მოხსენებების კრებულის სახით გამოცემა. ამიტომ კონფერენციის ხელმძღვანელს დემურ ჯალალონიას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი იქნება ყოველწლიურად გამოიცეს კონფერენციაზე წარმოდგენილი სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომები „სტუდენტთა ფილოსოფიური კრებულის“ სახით. იუნესკოს საქმეთა საქართველოს ეროვნული კომისიის სამდივნო თუკი დაანერგეს გამარჯვებული სტუდენტებისათვის I, II და III ხარისხის დიპლომებს, რომელსაც საქართველოს იუნესკოს წარმომადგენელი გამარჯვებულებს გადასცემს, ეს დიდად გაზრდის სტუდენტების მოტივაციას.



კემბრიჯის უნივერსიტეტიდან გამოყოფილი სიტუა



პირველი გვერდიდან

პროგრამის აფინანსებს ბიოტექნოლოგიური კომპანია „Amgen“

პროგრამის აფინანსებს ბიოტექნოლოგიური კომპანია „Amgen“, რომელიც სამუშაოებს აძლევს ბაკალავრ სტუდენტებს ჩაერთონ სამეცნიერო კვლევებში და გარკვეული გამოცდილება მიიღონ.

ცოტნე ემოციების გარეშე ვერ იხსენებს კემბრიჯის უნივერსიტეტში გატარებულ დღეებს და ამბობს, რომ ეს მისთვის, როგორც სტუდენტისთვის და მომავალი მეცნიერისთვის, უდიდესი გამოცდილება იყო.

პროგრამა — „Amgen Scholars Program“, რომელიც ქართველი სტუდენტი ჩაერთო, პარალელურად ევროპის სამ ყველაზე რეიტინგულ სასწავლებელში: ლუდვიგ მაქსიმილიანის (გერმანია), კაროლინსკას (შვედეთი) და კემბრიჯის (ბრიტანეთი) უნივერსიტეტებში ხორციელდებოდა. თითოეულ უნივერსიტეტში ევროპის სხვადასხვა სასწავლებლიდან 25 ბაკალავრი სტუდენტი იყო მიწვეული. ეს პროგრამა 4 წელია ფუნქციონირებს და საგულისხმოა, რომ საქართველოდან პირველად მასში მონაწილეობა ცოტნე ჩიტაიშვილმა მიიღო.

ქართველ სტუდენტს წინ ურთულესი გამოცდა ელოდა. თავდაპირველად მას აუხსნეს, რა უნდა გაეკეთებინა, შემდეგ კი გამოუცხადეს, რომ დავალება დამოუკიდებლად უნდა შეესრულებინა — ექსპერიმენტის დაგეგმვიდან შედეგების გაანალიზების ჩათვლით.

„თავიდან ცოტა გამიჭირდა, თუმცა მონდომებით ვაკეთებდი ჩემს საქმეს — ეს პროცესი ძალიან საინტერესო იყო. მაგალითად, შევისწავლე გენი — 15-ის როლი კუნთების განვითარების პროცესში. ყველაზე მეტად კი ის ფაქტი მახარებდა, რომ სხვა სტუდენტებთან ერთად ჩვენ ვიყავით პირველები, რომლებმაც დაიწყეს ამ გენის ფუნქციის შესწავლა დროზოფილაში.“

სასწავლო პროგრამა კვლევებთან ერთად ბევრ სოციალურ აქტივობას მოიცავდა: ექსკურსიებს ავსტრიაში, ბერლინში, ალპებში, სადაც პროფესორები პარალელურად სემინარებს გვიტარებდნენ, გვასწავლიდნენ სამეცნიერო წერას და სხვა“ — იხსენებს ცოტნე.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი ცოტნესთვის პროგრამის დასკვნითი ეტაპი გამოდგა — პროგრამაში ჩართული სამივე უნივერსიტეტის სტუდენტები კემბრიჯში შეიკრიბნენ, სადაც მათ თავიანთი ნამუშევრები პოსტერების სახით წარადგინეს.

დაგეგმილი კონფერენციის ფარგლებში სტუდენტებისთვის სემინარებიც გაიმართა, სადაც ლექციებს კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორები კითხულობდნენ.

ბოლოს, გამოსამშვიდობებელი ვახშმის დროც დადგა, სადაც გამარჯვებულები გამოავლინეს.

პირველი ადგილის მფლობელად ცოტნე ჩიტაიშვილი დაასახელეს. „ეს ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, ყოურის შემადგენლობაში კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორები და კომპანია Amgen-ის კვლევის ჯგუფის თანამშრომლები შედიოდნენ. მათი აზრით, დასმული ამოცანის გადასწავლად ჩემს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები ყველაზე სწორი იყო და მათ ამოხსნულად მიღებული შედეგები კი წარმატებული. მათ დადებითად შეაფასეს აგრეთვე ჩემს მიერ გაფორმებული პოსტერები“, — ამბობს ცოტნე.

მის სამომავლო გეგმებში, რა თქმა უნდა, სამეცნიერო საქმიანობა შედის. ბაკალავრიატის დასამთავრებლად მხოლოდ 15 კრედიტი სჭირდება, ამიტომ თავისუფალი დრო საკმარისად აქვს, რომ მაგისტრატურისთვის მოემზადოს.

ადოს. იგი სწავლის გაგრძელებას გერმანიაში აპირებს.

მოუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, თავისუფალ დროს მაინც ახერხებს — მეგობრებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხე მოინახულოს. როგორც თავად ამბობს, მოგზაურობა და ფოტოგრაფია მისი ჰობია. პოეზია ნაკლებად უყვარს, უფრო მეტად ცნობილი ადამიანების ცხოვრებას ეცნობა და მაგალითს მათგან იღებს.

ცოტნეს უნივერსიტეტში სწავლა მოსწონს, მით უფრო გამოყენებითი ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულებით, რაც უცხოეთში სწავლის გაგრძელების საშუალებასაც აძლევს. სამომავლოდ იგი სამეცნიერო მუშაობაზე გადართვას გეგმავს და უკვე მიღწეულ გამოცდილებასაც, ალბათ, გამოიყენებს.



მზრუნველობით მიღწეული ცხოვრება ტკივილის გარეშე

საქველმოქმედო აქცია

ნათო მობლავაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქველმოქმედო აქცია — „ცხოვრება ტკივილის გარეშე“ მიმდინარეობდა. უნივერსიტეტის I, II, V, VIII და X კორპუსებში სპეციალური ყუთები განთავსდა, რომელშიც სტუდენტებს 20-დან 30 ნომბრის ჩათვლით სასურველი რაოდენობის თანხის ჩაგდება შეეძლო. საქველმოქმედო აქციის შედეგად შემოსული თანხა ფერცივალების მონასტერთან არსებულ მონყალების ცენტრს გადაეცა, რომელიც 2003 წლიდან პალიატიურ მზრუნველობას ახორციელებს.

საქველმოქმედო აქციის — „ცხოვრება ტკივილის გარეშე“ გამართვის იდეა გაეროს განვითარების პროგრამის ერთერთი პროექტის ხელმძღვანელ ლალი

მესხს ეკუთვნის, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას აქციის ერთობლივად ჩატარების წინადადებით მიმართა. შედეგად შეიქმნა საქველმოქმედო კომიტეტი ლალი მესხის, ნიკოლ ჟორდანიას (საქველმოქმედო ორგანიზაცია „ნოვჯგუფის“ წარმომადგენელი), ლენა კილაძის („საქართველოს ამერიკელი მეგობრების“ აღმასრულებელი დირექტორი) და თსუ-ის სტუდენტების შემადგენლობით. როგორც კომიტეტის წევრები აცხადებენ, აქცია ერთჯერადი ხასიათის არ იქნება და იგი რეგულარულად მოეწყობა.

„1000-ობით მოხუცია, რომლებიც მძიმე ან ქრონიკული სენით არიან დაავადებულნი. მათ მუდგად სჭირდებათ მოვლა. ზოგიერთ მათგანს არ ჰყავს ახლობელი, მაგრამ ვისაც ყავს, მათი ოჯახებისთვისაც ეს მძიმე ტვირთია, რადგან უმეტესობა სოციალურად დაუცველია. აუცილებელია, რომ ქვეყანაში პალიატიური ზრუნვის ცენტრები არსებობდეს. დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში ასეთი ცენტრები გაჩნდა. ვიცი, რომ თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზეც უკვე ხდება ამ მიმართულებით კადრების მომზადება. უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი ძალიან ახალია საქართველოსთვის და, სამწუხაროდ, არც სახელმწიფო ბიუჯეტში და არც სადაზღვეო პაკეტებში მზრუნველობამოკლებული მოხუცებისთვის არანაირი ფინანსური მხარდაჭერა არ არის გათვალისწინებული. ჩვენი მიზანია, ხელი შევეწყოთ პალიატიური მზრუნველობის განვითარებას საქართველოში; ჩავაყენოთ საზოგადოება და მთავრობა საქმის კურსში, რომ დადეს მოხუცებზე ზრუნვის დიდი საჭიროება არსებობს“, — განაცხადა ლალი მესხმა.

ფერცივალების მონასტერთან არსებულ მონყალების ცენტრში მცხოვრებ მოხუცებზე ზრუნვისთვის სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქციების გამართვას თსუ-ის სტუდენტები კვლავ გეგმავენ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურობენ.

„მაქვს იდეა, რომ ჩემს თანაკურსელებთან ერთად გავაგრძელო პალიატიური საქმიანობა. გვინდა, რომ დაახლოებით 3 ან 4 თვეში ერთხელ მოვანწყოთ საქველმოქმედო აქციები, მაგალითად, „სურვილების დღე“. მოხუცების უმრავლესობა განუკურნებელი სენით არის შეპყრობილი, ზოგიერთი მათგანი კი უკანასკნელ დღეებსაც კი ითვლის — ჩვენ შეგვიძლია მათ სურვილების ასრულებაში დავეხ-

მართო. მოხუცების ნაწილი შეჭირვებულია და შესაძლებელია მათთვის საჭირო ნივთები შევიძინოთ. ვგეგმავთ, რომ აქციებში მონაწილეობის მიღება სხვა უმაღლეს სასწავლებლებსაც შევთავაზოთ და მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასშტაბით არ შემოვიფარგლოთ“, — გვითხრა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტმა გიორგი ჩაღუნელმა.

პალიატიური მზრუნველობის პროცესში ჩართვას თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობაც გეგმავს. სტუდენტური თვითმმართველობა აქციის — „ცხოვრება ტკივილის გარეშე“ ერთერთი თანაორგანიზატორიც გახლდათ. სწორედ მათი ხელშეწყობით დამზადდა თანხის შესაგროვებლად სპეციალური ყუთები და განთავსდა თსუ-ის კორპუსებში.

„ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოში ბევრი ისეთი ადამიანია, რომელიც ჯანმრთელობისა და სოციალური თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაშია. აქციის — „ცხოვრება ტკივილის გარეშე“ ფარგლებში საშუალება მოგვეცა ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებს დაეხმარებოდით. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ყოველთვის მზად არის, რომ მხარი დაუჭიროს ასეთი სახის ღონისძიებებს; ჩაერთოს მასში როგორც მონაწილე, ან როგორც ორგანიზატორი. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, სტუდენტებმა, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამ ადამიანებს თუნდაც ერთი დღით გაუხანგრძლივოთ და გაუხალისოთ ცხოვრება.“

აქციის საქველმოქმედო კომიტეტის წევრებთან თანამშრომ-

ლობას მომავალშიც გავაგრძელებთ; ვეცდებით, უფრო მეტი ადამიანი ჩავართოთ ამ კეთილ საქმეში; სტუდენტები ერთად დავეხმარებით უფროსი თაობის ადამიანებს და ყველას, ვისაც ჩვენი გვერდში დგომა ესაჭიროება“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა სოფო ჩიტაიშვილმა.

ფერცივალების მონასტერთან არსებულ მონყალების ცენტრში, რომელიც პალიატიურ მზრუნველობას ახორციელებს, ამ დროისთვის მხოლოდ 6 მოხუცი ცხოვრობს. თუმცა მონაწილეები და მონყალების დები იმ მოხუცებზეც ზრუნავენ, რომლებიც საკუთარ ოჯახებში, თუმცა უმძიმეს პირობებში იმყოფებიან. აქციის — „ცხოვრება ტკივილის გარეშე“ ორგანიზატორის ლალი მესხის ინიციატივით, შესაძლოა, უახლოეს მომავალში მოხალისე სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი ჩამოყალიბდეს, რომლებიც პალიატიური მზრუნველობის საკითხებში ერთ დღიან ტრენინგს გაივლიან და ფერცივალების მონასტერთან არსებული მონყალების ცენტრის საქმიანობაში ჩაერთვებიან.



„აუცილებელია, ვიაქტიუროთ და არ დავკარბოთ ჩვენი ასალბაზრები“



მეხუთე გვერდიდან

თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლები სტეფანანდის №1 საჯარო სკოლისა და სტეფანანდის №2 საჯარო სკოლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის მოსწავლეებს შეხვდნენ. თსუ-საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორი მარინა ლომოური მოზარდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების, მისი ტრადიციებისა და დამაარსებლების შესახებ ესაუბრა. თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებმა გიორგი გრიგოლაშვილმა და ქეთი მურუსიძემ კი მოსწავლეებს პროექტი „თსუ დესპანი“ გააცნეს და ორგანიზაცია „social.ge“-ს, „სადასკუსიო კლუბის“ მუშაობის შე-

სახეზეც ესაუბრნენ. შეხვედრაზე მოსწავლეებისთვის თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა გიორგი დვალისვილმა და ფიზიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა თემურ ნადარეიშვილმა ლექციებიც წაიკითხეს. თსუ-ის პედაგოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ქეთევან ჭკუასელმა კი ადგილობრივი პედაგოგების კითხვებს უპასუხა და განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეები გააცნო. სტეფანანდის სკოლების მოსწავლეების უმეტესობისთვის საინტერესო სიახლე აღმოჩნდა ის ინფორმაცია, რომელიც „საბავშვო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლებისგან მოისმინეს. მათ ნაწილს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, რო-

მელ უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობს სწავლას, თუმცა, როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მათთვის ერთ-ერთი სასურველი უმაღლესი სასწავლებელია. „არ ვიცი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორია და ძალიან საინტერესო იყო ამის მოსმენა. ასევე, საინტერესო იყო ლექციები, რომლებიც თსუ-ის პროფესორებმა წაგვიკითხეს, თუმცა, ჯერჯერობით, არ გადავწყვეტია რომელ უმაღლეს სასწავლებელში და რა მიმართულებით გავაგრძელებ სწავლას“, — გვითხრა სტეფანანდის №1 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლემ ნატო ალიბეგაშვილმა. აღსანიშნავია, რომ სტეფანანდის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი რამდენიმე წელია, რაც ამოქმედდა. ყაზბეგის რაიონის სოფლებში მცხოვრებ მოზარდებს, სადაც საჯარო სკოლები არ არის, საშუალება აქვთ ზამთრის პერიოდში პანსიონში იცხოვრონ და განათლება მიიღონ, თუმცა ფიზიკის და ქიმიის სწავლა მათთვის პრობლემაა, რადგან სკოლას მასწავლებლები აკლია და, შესაბამისად, პერიოდულად მომუშავე პედაგოგებს იწვევენ. გიმნაზიაში მოსწავლეებს შეუძლიათ სპორტის სხვადასხვა სახეობებსაც დაეუფლონ. „ჩვენი მოსწავლეებისთვის სასარგებლოა ყოველი ასეთი სიახლე და, რა თქმა უნდა, მიშენილება-


წინა როგორ გამოიყენებენ ამას. როდესაც ადამიანს აქვს ნიჭი, ეს უფლისგან მინიჭებული მადლია. სწორედ ამ ნიჭის გამოყენებაზე ვსაუბრობთ დღეს. უამრავი განსაცდელია გარშემო და ახალგაზრდებიც დაინტერესებულნი უნდა იყვნენ, რომ მომავალში ამ კატაკლიზმების წინაშე უმეცრეები არ აღმოჩნდნენ. მთის რეგიონის ახალგაზრდები კარგი სპეციალისტები უნდა გაიზარდონ — სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ეს ღონისძიებაც. მადლობა უნივერსიტეტის ჯგუფს, რომელიც სტეფანანდისში ჩამობრძანდა. ღმერთმა დაგლოცოთ!“, — ბრძანა სტეფანანდის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ხელმძღვანელმა მეუფე ეგუდიელმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბავშვო უნივერ-

სიტეტის“ წარმომადგენლებმა ყაზბეგის სკოლებს სპეციალური ბროშურები გადასცეს, სადაც თსუ-ის ყველა ფაკულტეტის შესახებ დანწილებითი ინფორმაცია ასახულია. შესაბამისად, სტეფანანდის ბავშვებს საშუალება ექნებათ, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ და გააზრებულიად აირჩიონ მათთვის სასურველი პროფესია. სტეფანანდის №1 საჯარო სკოლისა და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ასევე, საჩუქრად გადაეცათ წიგნები: „უნივერსიტეტი“ და „წორი გეოგრაფია პირველი კონფერენცია — ნაშრომების კრებული“, ჟურნალი „თსუ მეცნიერების“ ორი ნომერი და საქართველოს ლანდშაფტური რუკები.



საქართველოს ფინანსისტთა მრავალი თაობის აღზარდელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები მწუხარებას გამოთქამენ ღირსეული მამულიშვილის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი გამსახურდიას გარდაცვალების გამო.



იყო საქართველოს სახალხო კონტროლის მეცნიერების, კულტურის და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფინანსების და ფასების სამმართველოს უფროსი; ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო 1996-2003 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ახალგაზრდობის აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის პროფესორი გივი გამსახურდია დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის მედლით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო სიგელით. 2009 წლიდან დღემდე იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სრული პროფესორის თანამდებობაზე. პროფესორი გივი გამსახურდია ძირითად მოვალეობებთან ერთად ასრულებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ და სამეცნიერო საქმიანობას ეროვნული ვალუტის დაბეჭდვის ორგანიზაციასთან დაკავშირებით. იყო ეროვნული ბანკის სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელი (1997-2003 წ.წ.) პარიზში, ვენაში, ცი-

ლეი ბარამიძის ბასსენება

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი პროფესორი ლეი ბარამიძე. ქალბატონი ლეის სამეცნიერო მოღვაწეობა მთლიანად უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე. აკაკი შანიძის ნაშრომთა რედაქციის აგრძელებდა თბილისის სასწავლებლისა და ცნობილი ქართველი მოღვაწეების, ივანე იმნაიშვილის, ვარლამ თოფურიას, არნოლდ ჩიქობავას, კორნელი თაიასის მასწავლებლისა და დანელიასა და სხვების ტრადიციებს. ქალბატონი ლეი ბოლო დრომდე აგრძელებდა პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას, სიღრმისეულად იკვლევდა ძველი ქართული ენის აქტიუალურ საკითხებს. ლეი ბარამიძე არის რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომისა და სამი მონოგრაფიის ავტორი. „ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია ქართული ენის განვითარების ტენდენციების, ცვლილებებისა და უწყვეტად იკვლევადი შესწავლისას. სწორედ ქალბატონმა ლეიმ დაასრულა ძველი ქართული ენის კათედრაზე დიდი ხნის წინ დაწყებული საქმე, როდესაც გამოსცა „ქართული სამოციქულო სოფონია-ლექსიკონი“. თამამად შეიძლე-



ბა ითქვას, რომ აღნიშნული ნაშრომი ძველი ქართული ენის მონაცემების ენათმეცნიერული და ტექსტოლოგიური დამუშავების ერთ-ერთი სერიოზული და საუკეთესო ნიმუშია. ლეი ბარამიძემ მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობა მიუძღვნა ძველი ქართული ენის შესწავლის საკითხებს. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი პუბლიკაციები: სინური მრავალთავი 864 წლისა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები (ძველი ქართული ენის კათედრის სხვა წევრებთან ერთად); ზოგიერთი ტიპის მემკვიდრეობის ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები; საწყისი ძველ ქართულ-რულ მოღვაწეობას, სიღრმისეული მისწავლა იკვლევდა ძველი ქართული ენის აქტიუალურ საკითხებს. ლეი ბარამიძე არის რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომისა და სამი მონოგრაფიის ავტორი. „ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია ქართული ენის განვითარების ტენდენციების, ცვლილებებისა და უწყვეტად იკვლევადი შესწავლისას. სწორედ ქალბატონმა ლეიმ დაასრულა ძველი ქართული ენის კათედრაზე დიდი ხნის წინ დაწყებული საქმე, როდესაც გამოსცა „ქართული სამოციქულო სოფონია-ლექსიკონი“. თამამად შეიძლე-

დასაბუთი სიტყვა



ნათო ოზოლაძე

თსუ-ის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ქართველი და უცხოელი კალიგრაფების მიერ შესრულებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გამოფენა მოეწყო. ქართველმა კალიგრაფებმა იაპონელ, გერმანელ, ნორვეგიელ, კოლუმბიელ, პერუელ, რუს, უკრაინელ, იტალიელ და არგენტინელ კოლეგებთან ერთად 120-მდე ექსპონატი შექმნეს. მათ კალიგრაფიის შესანიშნავ ნიმუშებად აქციეს ვაჟას პოემები, ლექსები და ცალკეული ფრაზები.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხელნაწერების შექმნა 2011 წელს, UNESCO-ს ეგიდით გამოცხადებული პროექტის

ფარგლებში, პოეტის 150 წლის იუბილეს აღსანიშნავად დაიწყო. პროექტში ჩართული იყო საქართველოს „მხატვარ-კალიგრაფთა კავშირი“.

„23 წელია, რაც ამ საქმეს ვემსახურები. პირველი სრულყოფილი ხელნაწერი 2009 წელს ჩემს მონაფესთან ერთად გადაკეთე და ეს გახლდათ ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“. ეს იყო 2008 წლის მოვლენების მიმართ ჩვენი საპროტესტო გამოძახილი, რათა გვეჩვენებინა ქართული სულის უკვდავება და ძლიერება. ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილეს აღსანიშნავად მისი 14 პოემის ხელნაწერი შევქმენით. მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს. უცხოელი კალიგრაფებიც შემოგვიერთდნენ, რომლებსთვისაც სპეციალურად ითარგმნა ვაჟას ლექსები. ზოგიერთ ენაზე კი პოეტის შემოქმედება უკვე თარგმნილი გახლდათ და ამის საჭიროება არ იყო,“ — განაცხადა „საქართველოს მხატვარ-კალიგრაფთა კავშირის“ ხელმძღვანელმა ლევან ჩაგანავამ.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხელნაწერების გამოფენა პირველად მის მშობლიურ სოფელ ჩარგალში გაიმართა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კალიგრაფიული ექსპოზიცია ორგანიზატორებმა საზოგადოების წინაშე მეორედ წარადგინეს. გამოფენა „ვაჟა-ფშაველას ფონდის“ თავმჯდომარის ლელა რაზიკაშვილის, თსუ-ის მუზეუმისა და „საქართველოს მხატვარ-კალიგრაფთა კავშირის“ ორგანიზებით მოეწყო.

„ვაჟა არის უნივერსალური შთაგონების წყარო არა მარტო ხელოვანისთვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისთვის. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ მისმა შემოქმედებამ კალიგრაფების ფანტაზიას ბიძგი მისცა. ეს პროექტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ვაჟა-ფშაველა მთელი სამყაროს კუთვნილებდა. ვაჟა თავად ხატავდა სამყაროს თავისი სიტყვით და ძალიან თამამი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ახლა მისი სიტყვა დაეხატათ. ვფიქრობ, კალიგრაფებმა ამ საქმეს ღირსეულად გაართვეს თავი. მათი ხელნერა შთამბეჭდავია,“ — აღნიშნა ლელა რაზიკაშვილმა.

„2011 წელს, ვაჟას დაბადებიდან 150 წლის იუბილეს აღსანიშნავად, UNESCO უამრავი ღონისძიებით გამოეხმაურა. მათ შორის განხორციელდა საერთაშორისო პროექტი, რომლის ფარგლებშიც ქართველ კალიგრაფებთან ერთად ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით ხელნაწერები უცხოელმა კალიგრაფებმაც შექმნეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ პროექტს არგენტინელები, პერუელები და კოლუმბიელებიც კი გამოეხმაურნენ,“ — გვითხრა თსუ-ის მუზეუმის ხელმძღვანელმა მათა გურაბანიძე.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კალიგრაფიული ნიმუშების წიგნად გამოცემაც იგეგმება.



„ჯაზის ელჩი“ და მოარული ლეგენდა საქართველოზე



ნათო ოზოლაძე

თსუ-ში აშშ-ის „ჯაზის ელჩის“ არი როლანდის ჯაზ-კვარტეტის კონცერტი გაიმართა. ნიუ-იორკული ბენდის მუსიკა ჯაზის დიდი ოსტატების — ლუი არმსტრონგის, დიუკ ელინგტონის, ჩარლი პარკერის და დიზი გილესპის შემოქმედებით არის შთაგონებული. თუმცა არი როლანდის

ჯაზ-კვარტეტმა თსუ-ში შეკრებილ მსმენელებს, საკუთარი რეპერტუარის გარდა, ქართული ფოლკლორის იმპროვიზაციაც შესთავაზა. მაგალითად, ქართველმა ჯაზის მოყვარულებმა ასევე მოისმინეს „სულიკო“ ამერიკული კლასიკური მუსიკის სტილში. მიუხედავად იმისა, რომ არი როლანდის ჯაზ-კვარტეტის მუსიკალური შემოქმედება ქართველი მსმენელისთვის ნაკლებად იყო



ცნობილი, თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში შეკრებილი მსმენელების ნაწილი ამერიკულ ჯაზ-კვარტეტის მუსიკას აღფრთოვანებული უსმენდა.

„ჯაზი ბავშვობიდან მიყვარს, თუმცა არი როლანდის ჯაზ-კვარტეტის შესრულებით მხოლოდ რამდენიმე სიმღერა მქონდა მოსმენილი. მიხარია, რომ საქართველოში ჩამოვიდნენ და მათი უკეთესი საშუალება მომეცა,“ — გვითხრა თსუ-ის სტუდენტმა გურამ ლეგაშვილმა.

მსმენელების ნაწილმა კი ამერიკული კლასიკური მუსიკის უკეთესი საშუალება სწორედ კონცერტზე დასწრების შემდეგ გადაწყვიტა.

„დღევანდელი დღე ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი დასამახსოვრებელი იქნება, რადგან ჯაზის გულმემატიკვარი არ ვიყავი, მაგრამ ახლა ძალიან მომწონს. შემდეგშიც აუცილებლად მოვუხმენ. არი როლანდი საკუთარ ბენდთან ერთად საქართველოში უკვე სამი დღეა იმყოფება. მათ ჯაზის საღამო უკვე გამართეს თელავში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კი სტუდენტებისთვის მასტერკლასებიც ჩაატარეს.

თსუ-ში კონცერტის დაწყებამდე არი როლანდმა მასპინძელი ქვეყნის შესახებ პირველი შთაბეჭდილებები გაგაცნო: „ყველაფერი, რაც საქართველოს შესახებ გაგონილი მქონდა, გამართლდა. საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა, ულამაზესი ბუნებით, მშვენიერი ღვინოა და სამზარეულოთი. ქართველები ცნობილი არიან, როგორც თბილი და გულდია ხალხი. მსმენელმა ძალიან კარგად მიგვიღო და დიდი ერთუზიანობით მოგვისმინა. ასე რომ, მოარული ლეგენდა ქართველების შესახებ სიმართლე ყოფილა,“ — გვითხრა არი როლანდმა.

აშშ-ის „ჯაზის ელჩის“ ჯაზ-კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაშიც ქრის ბაიარსი (ტენორ საქსოფონი), ზაიდ ნასერი (ალტოსაქსოფონი) და კეიტ ბალა (დრამერი) შედიან, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 35 ქვეყანაში იმოგზაურა და 86 სხვადასხვა პროგრამაში მიიღო მონაწილეობა. საქართველოში კი ნიუ-იორკული ჯაზ-კვარტეტი აშშ-ის საელჩოს მოწვევით ჩამოვიდა. მათი ვიზიტის მიზანი საქართველო-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობის დასრულების 20 წლის იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს მასშტაბით ტურნეს მოწყობა გახლდათ.

„2012 წელს ამერიკა-საქართველოს მეგობრობის 20 წლის იუბილეს აღნიშნავთ და ვფიქრობ, ამ კონცერტების გამართვა ძალიან კარგი ნაშრომია, რადგან ქართველებისა და ამერიკელების მეგობრობა სულიდან და გულიდან მოდის, ისევე როგორც ჯაზი,“ — განაცხადა საქართველოში ამერიკის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მაიკლ ტერნერმა.

ნიუ-იორკული ჯაზ-კვარტეტის ქართული ტურნე 30 ნოემბერს ლოპოტას ტბაზე გამართული კონცერტით დასრულდა.



მთავარი რედაქტორი	რედაქციის მენეჯერი:	მისამართი:
მოვალეობის შემსრულებელი	მანანა ჯურხაძე	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკორესპონდენტი	სოსო გამგებელი	tsunews@tsu.ge
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი	2 22 36 62

